ოქმი №9

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეცხრე სხდომის

30 აგვისტო 2022 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 24 (ოცდაოთხი) წევრმა. (სია თან ერთვის).

ესწრებოდა: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ _ ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 29 აგვისტოს N22-2222241103 (შემ. N12-23222421-23; 30.08.22) მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციასა და ქალაქში დაუსრულებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით დაისვა საერთო ხასიათის შეკითხვები.

მ. კახნიაშვილმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, ბაღების რეაბილიტაცია რამდენად შეუშლიდა ხელს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს.

გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) უპასუხა ამომწურავად შეკითხვებს ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ბინების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, მას ზედამხედველობას უწევს მათი შესაბამისი წარმომადგენელი, ხოლო რაც შეეხება ბაღებში სასწავლო პროცესების მიმდინარეობას, გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვლილია ისეთ ვადებში, რომ მსგავს შემთხვევას არ ექნება ადგილი ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 17 აგვისტოს N22-22222292 (შემ. N12-23222291-23; 17.08.22) მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი.

გაკეთდა განმარტება საშტატო ნუსხის ცვლილებასთან დაკავშირებით. სხვა შეკითხვები არ ყოფილა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 20.

წინააღმდეგი: 4.

დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის სპეციალისტი: **რ. გველესიანი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 30 აგვისტოს სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. გიორგი კაკოიშვილი
3. ირმა გიორგაძე
4. მამუკა მოდებაძე
5. ბადრი წაქაძე
6. ანგი ბოჭორიშვილი
7. კახაბერ გოქაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. ნუგზარ ფერაძე
10. რობერტი მახათაძე
11. დავით მიქაბერიძე
12. მამუკა კურტანიძე
13. ირაკლი კვეტენაძე
14. ჯემალ ჯუღელი
15. ვლადიმერ კამლაძე
16. გიგა გურული
17. ანი გელაშვილი
18. გოჩა მაჭავარიანი
19. ნანა ფერაძე
20. მანანა ცქიტიშვილი
21. მარეხი ქათამაძე
22. ზურაბ ყანჩაველი
23. ოთარი მაღლაკელიძე
24. მაია კახნიაშვილი

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 30 აგვისტოს სხდომის

სარჩევი

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 30 აგვისტოს სხდომის
დღის წესრიგი

დასაწ: 14.00 სთ.

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**